



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბალიჭი

ბალიჭი, სოფელი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის ტერიტორიულ ორგანოში (ქვემო ქართლის რეგიონი), მდ. ბალიჭისხევის (მაშავრის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 800 მ, ბოლნისიდან 18 კმ, კაზრეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 კმ. 783 მცხ. (2014).

სოფელი მდებარეობს ისტ. დმანისხევაში. X ს. შუა წლებში სოფელს გამოეყო მოსახლ. ნაწილი და ქვედა უბნად დასახლდა. სოფლის ზედა უბნის სამხრ.-დას-ით, სოფ. უკანგორისა და პატარა დმანისისაკენ მიმავალ გზასთან სამ. ზომის დარბაზული ეკლესიის ნანგრევებია; ადგილ. მოსახლ. მას სურბსარგისა და დაქცეულ საყდარს უწოდებს. ეკლესია ნაგებია თლილი კვადრების მეტ-ნაკლებად რეგულარული წყობით, შესასვლელი და ერთი სარკმელი სამხრ-იდან აქვს. ბალავრის ქვად გამოყენებულია გვიანდ. ხანის საფლავის ლოდი, რ-ზედაც მამაკაცის გამოსახულებაა. საკურთხეველში ორი ნიშია, თალი პროფილირებულ სვეტისთავებს ეყრდნობოდა. ეკლესიის შიგა და გარე წყობაში გადაკეთების დროს უადგილოდ ჩაუყოლებიათ ადრინდ. ფეოდ. ხანის ნაგებობის მოჩუქურთმებული ფრაგმენტები, რ-ებზედაც გამოსახულია ბოლნური ჯვარი, ლოტოსის, ვაზის რტოები. საკურთხეველის ნიშში ჩაშენებულია სტელის ფრაგმენტი. მასზე ერთიმეორის ქვეშ მამაკაცის ორი ფიგურაა, ყველა ეს დეტალი ადრინდ. ქრისტიანული ხანისაა და VI-VII სს-ით შეიძლება დათარიღდეს. ამავე პერიოდისაა ქვის სარკოფაგის სახურავი, რ-ზედაც რელიეფური, ასომთავრული წარწერაა. სოფლის ზედა და ქვედა უბანს შორის, გზის პირას შემთხვევით აღმოჩენილი წარწერა ასე იკითხება: „დესეს სული ქრისტე მოიხსენე“. იგი ამოიკითხა და VI-VII სს-ით დაათარიღა აკად. ა. შანიძემ. სოფლის ზედა უბანშივეა მუსლ. მავზოლეუმი - კვადრ. გუმბათოვანი შენობა, რ-საც „მეჩითებს“ ეძახიან, ასევე ახალია სამების დარბაზული ეკლესია, რ-ის ირგვლივ სასაფლაოა.

მატერ. კულტურის ძეგლების მიხედვით ბ. ფეოდ. ხანის ყველა ეტაპზე დასახელებული ყოფილა. იგი იხსენიება საბუთებშიც: 1589 ბ. დასახელებულია „დმანისის ციხის სანახებში“ შემავალ სოფელთა შორის; 1792, 1814 წლებში – ზურაბაშვილების მამულია. ამჟამად სოფელში ქართ. მოსახლეობაა. ბ-ის მახლობლად დგას ხუროთმოძღვრული ძეგლი – აბულმუგის ეკლესია.

ლიტ.: ა ბ უ ლ ა ძ ე ც., სიმონ მეფის არზა სულთან მურად III-ს, კრ.: მრავალთავი, [ტ.] 7, თბ., 1980; საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., ტ. 1, ტფ., 1899, გვ. 437-438, 477-478; შ ა ნ ი ძ ე ა., ბალიჭური სარკოფაგის წარწერა, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1972, № 2.

დ. ბერძენიშვილი
